სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 75

2011 წლის 18 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ქართული საბავშვო ფოლკლორის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2011 კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2011 წლის 3 ნოემბრის №71 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქართული საბავშვო ფოლკლორის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 27 ოქტომბრის №175/ნ ბრძანების, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „ქართული საბავშვო ფოლკლორის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2011 კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2011 წლის 3 ნოემბრის №71 ბრძანებაში და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქართული საბავშვო ფოლკლორის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2011 წლის კონკურსის" საპროექტო განცხადების ფონდში წარმოდგენა შესაძლებელი იქნება 2011 წლის 3 ნოემბრიდან 2011 წლის 24 ნოემბრის 18:00-მდე."

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მთავარ სპეციალისტს თ. გორგოძეს ბრძანების საჯაროდ გაცნობისათვის განთავსება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდზე: www.rustaveli.org.ge.

3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური